საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-12/6330
26/04/2021

6330-2-12-2-202104261201

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

მოგეხსენებათ, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის E60 ავტომაგისტრალის ქვ. წევა - ბორითის მონაკვეთის (F3) სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევარი ფუჭი ქანების მუდმივი დასაწყობებისთვის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. შროშასთან გამოყოფილია სანაყარო №5. სანაყაროს პროექტი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებულია 2019 წლის 28 ნოემბრის №11741/01 წერილით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 ნოემბრის №2-913 ბრძანების მე-14 პუნქტის საფუძველზე. დღეისათვის სანაყაროს ნაწილი უკვე ათვისებულია და ავტომაგისტრალის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევარი ქანების ნაწილი დასაწყობებულია შეთანხმებული ტერიტორიის საზღვრებში.

თავდაპირველად დამუშავებული პროექტის მიხედვით, თანახმად ჩატარებული გაანგარიშებებისა, №5 სანაყაროზე შესაძლებელი იყო 413 378 მ3 მოცულობის გამონამუშევარი ქანების განთავსება. შემდგომში, წარმოიშვა აღნიშნულ სანაყაროზე განსათავსებელი გრუნტის მოცულობის გაზრდის საჭიროება, რისთვისაც საჭირო გახდა არსებული პროექტის გადამუშავება სანაყაროს ტევადობის გაზრდის მიზნით. შეცვლილი პროექტის მიხედვით სანაყაროზე შესაძლებელი იქნება 672 926 მ3 მოცულობის გრუნტის განთავსება. სანაყაროს გაფართოების საჭიროების შესახებ სამინისტროს ეცნობა 2020 წლის 25 ნოემბრის №2-12/13258 (სამინისტროს რეგისტრაციით №18304) წერილით.

აღნიშნული წერილის პასუხად, თქვენი 2020 წლის 17 დეკემბრის N 12025/01 წერილით, სხვა საკითხებთან ერთად მოთხოვნილია, რომ იმ შემთხვევაში, თუ სანაყაროს გაფართოების პროექტის ფარგლებში დაგეგმილია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული საქმიანობა, საჭიროა კოდექსით დადგენილი პროცედურების გავლა, კერძოდ: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის 9.8 ქვეპუნქტის თანახმად, წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოები და 9.13 ქვეპუნქტის თანახმად, ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები,

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

აგრეთვე საზღვაო სამუშაოები, რომლებითაც შეიძლება სანაპიროს შეცვლა მშენებლობის მეშვეობით (კერძოდ, დამბის, ჯებირის, მიწაყრილის განთავსება და ზღვისგან დაცვის სხვა სამუშაოები), გარდა მათი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა, ექვემდებარება სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას.

სანაყარო №5-ის გაფართოების პროექტის ფარგლებში მართლაც საჭიროა გარკვეული კაპიტალური ღონისძიებების გატარება აქ არსებული ხევის ბუნებრივი ჩამონადენის სათანადო მართვის მიზნით, კერძოდ ხევის მაღალ ნიშნულზე გათვალისწინებულია მცირე ზომის წყალმიმღები დამბის და ხელოვნური ბეტონის წყალგამყვანი არხის მოწყობა. აღნიშნულმა კონსტრუქციებმა უნდა უზრუნველყოს ბუნებრივი ჩამონადენის უსაფრთხო (დასაწყობებული გამონამუშევარი ქანების გვერდის ავლით) გატარება და ამით წყალდიდობის, დატბორვისა და სანაპირო ზოლის ეროზიის პრევენცია.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. შროშას მიმდებარედ არსებული სანაყარო №5-ის პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს სანაყაროზე დამატებითი გამონამუშევარი ფუჭი ქანების დასაწყობებას და აქ არსებულ ხევის ბუნებრივი ჩამონადენის სათანადო მართვის, წყალდიდობისა და ეროზიის პრევენციის მიზნით წყალმიმღები დამბის და წყალგამყვანი არხის მოწყობას.

წერილს დანართის სახით თან ერთვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ელექტრონული ინფორმაცია, კერძოდ:

- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, სკრინინგის პროცედურისთვის, ელექტრონული სახით გიგზავნით, აღნიშნულ პროექტზე სათანადო ინფორმაციას და გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ თქვენი გადაწყვეტილება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

დანართი: სკრინინგის განცხადების ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

ალექსანდრე თევდორაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე